შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2018 წლის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2018 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრული რესურსებით. ფონდის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შეესაბამება პროგრამებისა და სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას.

2017 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია N81, 18.07.2018
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია - გადაწყვეტილება N82, 18.07.2018 (1 წლით) 25.07.

უარი ეთქვა აკრედიტაციაზე

- ✓ ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამას N83, 18.07.2018
- ✓ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაციაზე N84,
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის N25 გადაწყვეტილებით სამართლის სადოქტორო პროგრამას

გამოიცა სახელმძღვანელო ნოდარ გრძელიშვილის მიერ, რელიგიური ტურიზმი. თბილისი 2018.

გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები
2. ა(ა)იპ ახალგაზრდული სამეცნიერო გაერთიანება
3. სს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი
4. საქართველოს პროკურატრა
5. შპს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი
6. შპს ვივამედი
7. ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
8. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი
9. რესტორანი კარაველა
10. შპს მედინვესტი - ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი
11. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12. სასტუმრო ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი
13. ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია
14. შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
15. შპს ჰერცოგი
16. შპს G.T-COMPANY

21.03 ჩატარდა საჯარო ლექცია: "კრეატიული ეკონომიკა" მომხსენებელი: გურამ ჯოლია.

04.04. საჯარო ლექცია: "საქართველოში სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის განვითარების პრობლემები". მომხსენებელი: თეიმურაზ გორშკოვი.

20.04.2018 საჯარო ლექცია თემაზე: "გეოინფორმაციული სისტემები". მომხსენებელი: სერგო ცირამუა.

02.06. საჯარო ლექცია თემაზე: „კულტურული ტურიზმის განვითარების ტენდენციები“. მომხსენებელი: ნიკო კვარაცხელია.

5.08. საჯარო ლექცია თემაზე: „ჰიბრიდული ომის არსი და მისი პოლიტიკური ასპექტები“. მომხსენებელი: თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ისტორიის დოქტორი თორნიკე შურღულაია.

14.11. საჯარო ლექცია თემაზე: „როგორ მივაღწიოთ წარმატებას შრომის ბაზარზე“. მომხსენებელი: „ემ ბი სი“- ს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი რევაზ ხარაბაძე.

8 ივნისს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა XXV სამეცნიერო კონფერენცია.

9 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიური პერსონალის შეხვედრა „McGraw Hill Education“-ის საქართველოს წარმომადგენელთან - ერდენერ ბარანთან. დამსწე საზოგადოება გაეცნო სწავლების თანამედროვე პლატფორმას -„ McGraw Hill Education Connect “, მის შესაძლებლობებს და უნივერსიტეტის სასწავლო კურსების აღნიშნულ პლატფორმაში ინტეგრაციის პერსპექტივებს.

12 დეკემბერს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებისა და დაპროგრამების ადმინისტრაციის შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე კლდიაშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო საგრანტო განაცხადის მომზადება.“

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის Strikeplagiarism.com წარმომადგენლები აიგულ მამადლიმ და ნარმინ ალიევამ ჩაატარეს ტრეინინგი თემაზე: „აკადემიური პლაგიატი, მისი გამოვლენა და პრევენცია“.

30 მაისს გაიმართა წიგნის განხილვა ''ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო - საქმიანობა საქართველოში. ავტორი და მომხსენებელი: ნინო ლიპარტელიანი.

15 მარტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ თანადაფინანსების გრანტების პროგრამასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (სდასუ) გამართა. პრეზენტაციას პროგრამის კოორდინატორი თამარ ჭელიძე უძღვებოდა.

21 მარტს კომპანია ''ტექსერვისის'' დირექტორი დავით მელექსიშვილი სდასუ-ს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებს შეხვდა.

15 მაისს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პროექტის ფარგლებში - "ჩვენ ვიხდით გადასახადებს და ვქმნით უსაფრთხო მომავალს". ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა გაცნობითი სახის სემინარში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული ღონისძიება ჩატრდა საბაჟო გამშვებ პუნქტზე - „წითელი ხიდი", გაფორმების ეკონომიკურ ზონაში - „თბილისი" და ისანი-სამგორის სერვისცენტრში. სტუდენტები ადგილზე გაეცნენ შემოსავლების სამსახურის მიერ ობიექტებზე დანერგილ ტექნოლოგიურ სიახლეებს, არსებულ სერვისებსა და პროცედურებს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს საგადასახადო და საბაჟო სისტემების ფუნქციონირების შესახებ ვრცელი პრეზენტაციები წარუდგინეს.

უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია შეხვდა ქ. თელავის, ახმეტის, ყვარელის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს და ქუთაისის სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებს და აღნიშნული რეგიონის რესურსცენტრებს. გადასცა ყველა ის ბეჭდური მასალა, რაც უნივერსიტეტმა მოამზადა რეკლამისთვის.

გაძლიერდა უცხო ენის კომპონენტი ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამებში. ასევე დაემატა უცხოენოვანი საგნები. კერძოდ, ზოგადი ინგლისური 15 კრედიტის ნაცვლად გახდა 20 კრედიტი, დარგობრივი ინგლისური 5 კრედიტის ნაცვლად გახდა 10 კრედიტი. დაემატა ინგლისურენოვანი საგანი ლიდერობა და საქმიანი კომუნიკაციები.

2018 წლის თებერვალში ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტის დიმიტრი შანიძის მიერ მომზადდა და SDASU TV-ის ეთერში გავიდა გადაცემა - ეკონომიკური ასპექტები.

2018 წლის 7 მაისს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილია საგრანტო პროექტი - „შინამეურნეობათა ევოლუცია დიდი დროითი პერიოდების მიხედვით (ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები)" . პროექტის ავტორები: პროფეორი დავით კბილაძე, პროფესორი ქეთევან ნანობაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნინო ლიპარტელიანი და დოქტორანტი მედეა სამსიანი.

2018 წლის 7 მაისს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილია საგრანტო პროექტი -„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო პოლიტიკაში". პროექტის ავტორები: ასოცირებული პროფესორი სოფო ჩქოფოია, მოწვეული პერსონალი ნინო ოთხოზორია, მაგისტრანტი სალომე კანდელაკი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარები; საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები; ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში.

უნივერსიტეტი ჩართული იყო გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში მობილობის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა მობილობის მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცედურებში.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

გადაიხედა გარკვეული საკითხები, მათ შორის: დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქვს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობა.

დაწესებულება ნაწილობრივ უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა შედეგების გათვალისწინებასაც ახდენს შესაბამისი სამსახური. სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსებს.